საექსპერტო დასკვნა

ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირ #135-ში მდებარე ყოფილ კინოთეატრ „აპოლოს“ რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

კვლევა-გამოკვლევა

საინჟინრო ექსპერტიზაზე განხილულია საპროექტო დოკუმენტაცია „ყოფილი კინოთეატრი „აპოლოს“ რეკონსტრუქცია“, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირ #135-ში მდებარე არსებული შენობის რეკონსტრუქციას. დოკუმენტაცია მოიცავს არქიტექტურულ და კონსტრუქციულ ნაწილებს, საპროექტო შენობის საანგარიშო მოდელს, ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიურ კვლევას.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია შპს “კუბიკონი”-ს მიერ.

სარეკონსტრუქციო ობიექტი წარმოადგენს გეგმაში მართკუთხა მოხაზულობის შენობას (გაბარიტების მაქსიმალური ზომებით 56.9x21.1 მ). გააჩნია სამი მიწისზედა და ერთი მიწისქვეშა სართული - სარდაფი. შენობის მშენებლობის პერიოდია 1900-იანი წლების დასაწყისი, ექსპლუატაციის სხვადასხვა პერიოდში მასზე ჩატარებულია, როგორც სარეკონსტრუქციო - აღდგენა-გამაგრების, ასევე დამატებითი მოცულობების მოწყობის (მიშენება-დაშენების) სამუშაოები.

სარეკონსტრუქციო შენობა წარმოადგენს მზიდკედლიან ნაგებობას, წყობაში ძირითადად გამოყენებულია წითელი კერამიკული აგური. დარბაზის გადახურვა შესრულებულია ლითონის სამკუთხა წამწეებით, სართულშორისი გადახურვები სხვადასხვა ტიპისაა, გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონი, ლითონის კოჭებთან კომბინირებული რკინაბეტონის, აგურის თაღოვანი სისტემები, ხის კოჭებიანი იატაკები. საძირკვლები ლენტურია, ძირითადი ფასადის ნაწილებში სხვადასხვა დროს გაძლიერებული;

საპროექტო ტერიტორია განისაზღვრება შემდეგი კლიმატური პირობებით:

ქარის სიჩქარე - 33.0 მ/წმ;

თოვლის საფარის წონა - 0.50 კპა.

წარმოდგენილი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის თანახმად (შემსრულებელი საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ცენტრი შპს „გიმი“) სამშენებლო ტერიტორიაზე ამგები გრუნტების ფენაში გამოყოფილია ოთხი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი - სგე:

სგე-1 – თიხნარი ყავისფერი, ძნელპლასტიკური

სგე-2 - თიხნარი მუქი ყავისფერი, ნახევრადმაგარი,;

სგე-3 - ხრეშოვანი გრუნტი, მაგარი ქვიშნარის შემავსებლით

სგე-4 - ქვიშაქვა მონაცრისფრო-რუხი, საშუალო სიმტკიცის, დარბილებადი, სუსტად დანაპრალიანებული, სუსტად გამოფიტული, კლდოვანი.

პროექტის საანგარიშო მოდელი და კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია შპს “კუბიკონი”-ს მიერ.

წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციული ნაწილი მოიცავს შემდეგ ძირითად სამუშაოებს:

1. ჩრდილოეთ ნაწილში არსებული მიშენების დაშლა და მის ნაცვლად ახალი რკინაბეტონის კარკასული მინაშენის მოწყობას;

2. სარდაფის სართულის დაღრმავებას და ახალი ერთიანი მონოლითური რკინაბეტონის ფილის მოწყობას;

3. სარდაფის სართულში არსებული კედლების რკინაბეტონის ელემენტებით გაძლიერებას;

4. დარბაზის სივრცეში ახალი მიწისქვეშა სივრცის მოწყობას მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებით;

5. მიწისპირა სართულის დაზიანებული გადახურვის ფილის ახალი რკინაბეტონის ფილით შეცვლას;

6. დაზიანებული მზიდი კედლების, კიბეების, გადახურვის საყრდენი ელემენტების გაძლიერებას;

7. სახურავის დონეზე არსებული ხის გადახურვის ახალი კომბინირებული ფილით ჩანაცვლებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და სტრუქტურული ანგარიშებით მიღებული შედეგების ანალიზით დადგინდა, რომ პროექტში მიღებული პრინციპული გადაწყვეტები თანხვედრაშია ნორმატიული დოკუმენტაციებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან - მზიდი ელემენტები აკმაყოფილებენ სიმტკიცისა და სიხისტის პირობებს. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი როგორც შინაარსობრივად, ასევე ნახაზების გრაფიკული გაფორმების მხრივ პასუხობს ქვეყანაში მოქმედ ტექნიკური ნორმატული დოკუმენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. წარმოდგენილი მასალით იქმნება სრული შთაბეჭდილება მიღებული კონსტრუქციული გადაწყვეტების სისწორის შესახებ. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი მისაღებია მშენებლობისათვის.

დასკვნა

ამრიგად, შპს „კუბიკონის“ მიერ დამუშავებული ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირ #135-ში მდებარე ყოფილ კინოთეატრ „აპოლოს“ რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი პასუხობს მოქმედი ნორმების მოთხოვნებს და მისაღებია მშენებლობისათვის

ექსპერტი,

ინჟინერ-კონსტრუქტორი ნუგზარ მაისურაძე

e-mail: cooh@cheerful.com

tel: +995 577 793 384

გამოყენებული მასალები, ლიტერატურა

1. შპს „TIMMARCHITECTURE“-ს მიერ დამუშავებული პროექტის ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირ #135-ში მდებარე ყოფილ კინოთეატრ „აპოლოს“ არქიტექტურული ნაწილი;
2. შპს „კუბიკონის“ მიერ დამუშავებული პროექტის ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირ #135-ში მდებარე ყოფილ კინოთეატრ „აპოლოს“ კონსტრუქციული ნაწილი;
3. მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე შპს "გიმის“ მიერ ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები;
5. საპროექტო შენობის საანგარიშო მოდელი;
6. პნ 01.05-08 - სამშენებლო კლიმატოლოგია;
7. პნ 01.01-09 - სეისმომედეგი მშენებლობა;
8. პნ 02.01-08 - შენობების და ნაგებობების ფუძეები;
9. პნ 03.01-09 - ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები

ექსპერტის მონაცემები

პერსონალური & საკონტაქტო მონაცემები:

გვარი და სახელი: ნუგზარ მაისურაძე

დაბადების თარიღი : 03.01.1939

დაბადების ადგილი: ქ. თბილისი

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

მისამართი: ქ. თბილისი, ი. ნიკოლაძის ქ. №4, ბინა: 3

ტელეფონი: *2226362 ; 577793384*

ელ. ფოსტა: cooh@cheerful.com

განათლება:

1959-1967 - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამშენებლო ფაკულტეტი

1947-1958 - ქ. თბილისის მე-60 საშუალო სკოლა

სამუშაო გამოცდილება:

1959-1960 - "თბილქალაქმშენის" №3 სამშენებლო სამმართველო. მუშა

1960 - 1961 - "თბილქალაქმშენის" №10 სამშ. სამმართველო. მე-4 თანრიგის მუშა.

1961 -1963 - ქ. თბილისის აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს სამშენებლო სამმართველო. რიგადარი.

1963 - 1967 - "თბილწყალსადენი" №1 უბნის კონტროლიორი.

1967 -1969 - საპროექტო ინსტიტუტი "თბილქალაქპროექტი" უფროსი ინჟინერი.

1969 - 1971 - საპროექტო ინსტიტუტი "გრუზგიპროტორგი" უფროსი ინჟინერი.

1971 - 1982 - ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოს საპროექტო სახელოსნო. პროექტის მთავარი ინჟინერი.

1982 - 2001 - საპროექტო ინსტიტუტი "თბილზნიიეპი" მე-2 არქიტექტორული სახელოსნოს მთავარი კონსტრუქტორი.

2002 - 2005 - შ.პ.ს. "დელტაპროექტი" მთავარი კონსტრუქტორი

2005 წლიდან – პენსიონერი.

პროფესიული გამოცდილება.

დაპროექტებული მაქვს მრავალი სამრეწველო და სამოქალაქო დანიშნულების ობიექტები ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ქ. თბილისში მ. მესხის სახელობის სტადიონი, საცხოვრებელი სახლი კოსტავას ქუჩაზე. ლაინისგზის სადგურები ქ. ხაშურში და ქ. ბათუმში.

ინჟინერი ნ. მაისურაძე.

დიპლომი

Ц № 016430

ეს დიპლომი მიეცა ნუგზარ
იაკობის-ძე მაისურაძეს
მასზე, რომ იგი 1958 წელს შევიდა ქ. ქუთაისის
სახ. საქ. შრომის წითელი დროშის
ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1967 წელს დაამთავრა სრული
ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით სამრეწველო
და სამოქალაქო მშენებლობა"

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1967 წ.
„11" მარტის გადაწყვეტილებით
მიანიჭა ინჟინერ-
მშენებლის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე

რექტორი
მდივანი

ქალაქი თბილისი 1967 წ. „30" მარტი

სარეგისტრაციო №

Грузинский ин.

ДИПЛОМ

Ц № 016430

Настоящий диплом выдан Маисурадзе
Нугзару Яковлевичу
в том, что он в 1958 году поступил
в Гр. ордена Трудового Красного Знамени
политехнический институт имени Ленина
и в 1967 году окончил полный курс
названного
института
по специальности „Промышленное
и гражданское строительство"

Решением Государственной экзаменационной
комиссии от „11" марта 1967 г.
Маисурадзе Н. Я.
присвоена квалификация инженера-
строителя

Председатель Государственной
экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „30" 1967 г.

Регистрационный № 13573

Московская типография Гознака. 1966.

საქართველო

მოქალაქის პირადობის მოწმობა



ნომერი № 01009018592

სახელი ნუგზარ

გვარი მაისურაძე

დაბადების თარიღი 03.01.1939

დაბადების ადგილი თბილისი

№ ბ 1231059

მისამართი თბილისი ია.ნიკოლაძის ქ. N 4

პირადობის განმცხებ ორგანოს დასახელება საქალაქო რეგისტრის სააგენტოს მთავარმენდა-ქრწანისის სამსახური

გაცემის თარიღი 20.10.2008

მოქმედების ვადა შვადრე

მფლობელის ხელმოწერის ნიმუში 20.10.2008


ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირ #135-ში მდებარე ყოფილ კინოთეატრ „აპოლოს“ შენობის მომიჯნავედ არსებული შენობების ტექნიკური მდგომარეობის და „აპოლოზე“ დაგეგმილი სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესაძლო ურთიერთგავლენის დადგენა

1. საპროექტო ტერიტორიის ზოგადი აღწერა

დოკუმენტში განხილულია ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირ #135-ში მდებარე ყოფილ კინოთეატრ „აპოლოს“ შენობის მომიჯნავედ არსებული შენობების ტექნიკური მდგომარეობის და „აპოლოზე“ დაგეგმილი სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესაძლო ურთიერთგავლენის საკითხი.

საკვლევი არსებული შენობების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება ჩატარდა 2019 წლის 23 ოქტომბერს. შენობების და ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების შესწავლა მოხდა ვიზუალურად (დათვალიერებით), არსებული მდგომარეობის ფოტოფიქსაციით.

საპროექტო შენობის მომიჯნავედ ორ მხარეს - დასავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილში განლაგებულია არსებული შენობები.



დასავლეთ ნაწილში მომიჯნავედ განლაგებულია 6 შენობა, კერძოდ:

#1. 3 სართულიანი საკადასტრო კოდით #01.13.08.003.014 – 01(2) იხილე ფოტო 1;

#2. 2 სართულიანი - საკადასტრო კოდით #01.13.08.003.014 – 04(1) იხილე ფოტო 2;

#3. 1 სართულიანი - საკადასტრო კოდით #01.13.08.003.014 – 05(1) - იხილე ფოტო 3;

#4. 2 სართულიანი - საკადასტრო კოდით #01.13.08.003.014 – 03(2) - იხილე ფოტო 4;

#5. 2 სართულიანი - საკადასტრო კოდით #01.13.08.003.014 – 10(2) - იხილე ფოტო 5;

#6. 2 სართულიანი - საკადასტრო კოდით #01.13.08.003.014 – 09(1) - იხილე ფოტო 6;

ჩრდილოეთ ნაწილში მომიჯნავედ განლაგებულია ერთი შენობა

#7. 2 სართულიანი - საკადასტრო კოდით #01.13.08.003.012 - იხილე ფოტო 7;

2. მომიჯნავე შენობების ტექნიკური მდგომარეობების აღწერა

შენობა #1- საკადასტრო კოდი #01.13.08.003.014 – 01(2)

შენობა მზიდკედლიანია, შესრულებული აგურის წყობით, ექსპლუატაციის პერიოდში მასზე სხვადასხვა დროს ჩატარებულია რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოები (იხილე ფოტო 8, 9, 10). შეინიშნება სხვადასხვა წუნდებული და დეფექტური ადგილები (მაგალითად, ხის კიბეები, აივნის ელემენტები)

მთლიანობაში დაზიანების ხარისხობრივი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით შენობის დაზიანების ხარისხი II კატეგორიისაა, ანუ მისი საერთო ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

შენობა #2- საკადასტრო კოდი #01.13.08.003.014 – 04(1)

შენობა მზიდკედლიანია (იხილე ფოტო 2), განლაგებულია უშუალოდ კინოთეატრ „აპოლოს“ მზიდ კედელზე მიდგმით, სავარაუდოდ ამ მხარეს არ გაჩნია საკუთარი მზიდი ელემენტი და გამოყენებულია „აპოლოს“ კედელი, რითაც შეუსაბამო ხდება მოქმედ პროექტირების წესებთან - როგორც მინიმუმ საჭიროა შენობის პერიმეტრზე ერთიანი ანტისეისმური სარტყელი. მზიდი ელემენტები შესრულებულია კუსტარულად, შეინიშნება სხვადასხვა წუნდებული და დეფექტური ადგილები მაგალითად, ფანჯრის ღიობის ქვეშ წარმოშობილია ვერტიკალური ბზარი (ფოტო 11), დაზიანებულია კედლის ნალესი (იხილე ფოტო 12), ასევე დაზიანებულია სახურავის, აივნის ელემენტები (იხილე ფოტო 2, 13).

მთლიანობაში დაზიანების ხარისხობრივი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით შენობის დაზიანების ხარისხი II კატეგორიისაა, ანუ მისი საერთო ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

შენობა #3- საკადასტრო კოდი #01.13.08.003.014 – 04(1)

შენობა მზიდკედლიანია (იხილე ფოტო 3), განლაგებულია უშუალოდ კინოთეატრ „აპოლოს“ მზიდ კედელზე მიდგმით, სავარაუდოდ ამ მხარეს არ გაჩნია საკუთარი მზიდი ელემენტი და გამოყენებულია „აპოლოს“ კედელი, რითაც შეუსაბამო ხდება მოქმედ პროექტირების წესებთან - როგორც მინიმუმ საჭიროა შენობის პერიმეტრზე ერთიანი ანტისეისმური სარტყელი. მზიდი ელემენტები შესრულებულია კუსტარულად, შეინიშნება სხვადასხვა წუნდებული და დეფექტური ადგილები მაგალითად, სახურავის დონეზე წარმოშობილია ჰორიზონტალური მიმართულების ბზარი (იხილე ფოტო 14), ასევე ამავე ზონასთან ახლოს ფიქსირდება ვერტიკალური მიმართულების ბზარიც (იხილე ფოტო 15).

მთლიანობაში დაზიანების ხარისხობრივი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით შენობის დაზიანების ხარისხი II კატეგორიისაა, ანუ მისი საერთო ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

შენობა #4- საკადასტრო კოდი #01.13.08.003.014 – 03(2)

შენობა მზიდკედლიანია (იხილე ფოტო 4), განლაგებულია უშუალოდ კინოთეატრ „აპოლოს“ მზიდ კედელზე მიდგმით, სავარაუდოდ ამ მხარეს არ გაჩნია საკუთარი მზიდი ელემენტი და გამოყენებულია „აპოლოს“ კედელი, რითაც შეუსაბამო ხდება მოქმედ პროექტირების წესებთან - როგორც მინიმუმ საჭიროა შენობის პერიმეტრზე ერთიანი ანტისეისმური სარტყელი. შენობაზე შეინიშნება სხვადასხვა წუნდებული და

დეფექტური ადგილები, კერძოდ მზიდი კედელში წარმოშობილია ჰორიზონტალური მიმართულების ბზარი, რაც სავარაუდოდ საძირკვლების არათანაბარი დეფორმაციითაა გამოწვეული (იხილე ფოტო 4), კუსტარულადაა შესრულებული სახურავის ნაწილიც.

მთლიანობაში დაზიანების ხარისხობრივი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით შენობის დაზიანების ხარისხი III კატეგორიისაა, ანუ მისი საერთო ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

შენობა #5- საკადასტრო კოდი #01.13.08.003.014 – 10(2)

შენობა მზიდკედლიანია (იხილე ფოტო 5), განლაგებულია უშუალოდ კინოთეატრ „აპოლოს“ მზიდ კედელზე მიდგმით, სავარაუდოდ ამ მხარეს არ გაჩნია საკუთარი მზიდი ელემენტი და გამოყენებულია „აპოლოს“ კედელი, რითაც შეუსაბამო ხდება მოქმედ პროექტირების წესებთან - როგორც მინიმუმ საჭიროა შენობის პერიმეტრზე ერთიანი ანტისეისმური სარტყელი. შენობაზე შეინიშნება სხვადასხვა წუნდებული და დეფექტური ადგილები, კერძოდ მზიდ კედელებში წარმოშობილია ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიმართულების ბზარები, რაც სავარაუდოდ საძირკვლების არათანაბარი დეფორმაციითაა გამოწვეული (იხილე ფოტო 16, 17), წყობაში გამოყენებულია სილიკატური აგური, დაზიანებულია სახურავის ხის ელემენტები. მაღალია ხის კიბის ფიზიკური ცვეთის ხარისხი (იხილე ფოტო 18) და ა.შ. ელემენტების უმეტესობას ემჩნევა კუსტარულად შესრულების ხარისხი.

მთლიანობაში დაზიანების ხარისხობრივი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით შენობის დაზიანების ხარისხი III კატეგორიისაა, ანუ მისი საერთო ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

შენობა #6- საკადასტრო კოდი #01.13.08.003.014 – 09(1)

შენობა მზიდკედლიანია (იხილე ფოტო 6), განლაგებულია უშუალოდ კინოთეატრ „აპოლოს“ მზიდ კედელზე მიდგმით, სავარაუდოდ ამ მხარეს არ გაჩნია საკუთარი მზიდი ელემენტი და გამოყენებულია „აპოლოს“ კედელი, რითაც შეუსაბამო ხდება მოქმედ პროექტირების წესებთან - როგორც მინიმუმ საჭიროა შენობის პერიმეტრზე ერთიანი ანტისეისმური სარტყელი. შენობაზე შეინიშნება სხვადასხვა წუნდებული და დეფექტური ადგილები, კერძოდ მზიდ კედელებში წარმოშობილია ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიმართულების ბზარები, რაც სავარაუდოდ საძირკვლების არათანაბარი დეფორმაციითაა გამოწვეული (იხილე ფოტო 19). ელემენტების უმეტესობას ემჩნევა კუსტარულად შესრულების ხარისხი.

მთლიანობაში დაზიანების ხარისხობრივი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით შენობის დაზიანების ხარისხი III კატეგორიისაა, ანუ მისი საერთო ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

შენობა #7- საკადასტრო კოდი #01.13.08.003.012

შენობა მზიდკედლიანია (იხილე ფოტო 7), განლაგებულია კინოთეატრ „აპოლოს“ ჩრდილოეთ ფასადთან, და ნაწილობრივ (არსებული კიბის უჯრედის ზონაში) მიბჯენილია მასთან.

შენობაზე შეინიშნება სხვადასხვა წუნდებული და დეფექტური ადგილები, კერძოდ მზიდ კედელებში წარმოშობილია ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიმართულების ბზარები, რაც სავარაუდოდ საძირკვლების არათანაბარი დეფორმაციითაა გამოწვეული (იხილე ფოტო 20). დაზიანებულია ნალესი, შეიმჩნევა გვიანდელი გადაკეთებები მზიდ კედელში ახალი ღიობის გამოჭრა, საკომუნიკაციო არხებისათვის ასევე მზიდ კედლებში არხების ამოჭრა და სხვ. (იხილე ფოტო 21, 22, 23, 24).

მთლიანობაში დაზიანების ხარისხობრივი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით შენობის დაზიანების ხარისხი III კატეგორიისაა, ანუ მისი საერთო ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

3. დაგეგმილი დაშლის სამუშაოების ურთიერთგავლენის შეფასება

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული დასაშლელი მიშენება მოცულობით მცირე ზომისაა, მისი საძირკვლები საგრძნობი მანძილით მოცილებულია მომიჯნავე შენობას. გამომდინარე აქედან, დაშლის წარმოება მიგვაჩინა შესაძლებლად. თუმცა დაშლის პერიოდში განსაკუთრებული სიფრთხილით შესრულდეს სამუშაოები და მკაცრად იქნას დაცული დაშლის პროექტის მითითებები - იგულისხმება დასაშლელი ინსტრუმენტების შერჩევა და დაშლის წარმოების მეთოდოლოგია და თანამიმდევრობა. **აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით დაშლის სამუშაოები უარყოფით გავლენას არ მოახდენს შენობის მზიდი კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკურ მდგომარეობაზე.**

4. დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების ურთიერთგავლენის შეფასება

მიღებული საპროექტო გადაწყვეტის მიხედვით არსებული შენობის გასწვრივ მიწის სამუშაოების (ქვაბულის ამოღების) დაწყებამდე გათვალისწინებულია ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების მწკრივის ე.წ. „შპუნტური კედლის“ მოწყობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ახალი მშენებლობის შესაძლო ურთიერთგავლენის გამორიცხვა.

დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესაძლო ურთიერთგავლენის განსაზღვრისათვის ჩატარებულია შესაბამისი გაანგარიშებები, რა დროსაც დადგინდა, რომ ახალი საპროექტო შენობის საძირკვლებიდან ძაბვების გადაცემა ხდება უშუალოდ საძირკვლის სიახლოვეს არსებული გრუნტის მასივზე და მასში წარმოშობილი დეფორმაციები არ აჭარბებს ნორმატიული დოკუმენტაციებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ანუ ჩატარებული ანგარიშის მიხედვით დგინდება, რომ **ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოები უარყოფით გავლენას ვერ ახდენს მომიჯნავედ არსებულ შენობებზე.**

5. ზოგადი რეკომენდაციები

- მშენებლობა წარიმართოს „მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის“ და „მშენებლობის წარმოების პროექტი“-ს შესაბამისად, სადაც გაწერილი იქნება სამშენებლო სამუშაოების თანამიმდევრობა და მეთოდოლოგია, მათ შორის შრომის უსაფრთხოების ნორმები;
- მშენებლობის პერიოდში მკაცრად იქნას დაცული მშენებლობის წარმოების უსაფრთხოების წესები, მოქმედი საკანონმდებლო დოკუმენტების მოთხოვნების მიხედვით.

6. დასკვნა

ამრიგად, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირ #135-ში მდებარე ყოფილ კინოთეატრ „აპოლოს“ შენობის მომიჯნავედ არსებული შენობების ტექნიკური მდგომარეობა ასეთია:

შენობა #1 - საკადასტრო კოდი #01.13.08.003.014 – 01(2) – საერთო ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი;

შენობა #2 - საკადასტრო კოდი #01.13.08.003.014 – 04(1) – საერთო ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი;

შენობა #3 - საკადასტრო კოდი #01.13.08.003.014 – 04(1) – საერთო ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი;

შენობა #4 - საკადასტრო კოდი #01.13.08.003.014 – 03(2)– საერთო ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია;

შენობა #5 - საკადასტრო კოდი #01.13.08.003.014 – 10(2)– საერთო ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია;

შენობა #6 - საკადასტრო კოდი #01.13.08.003.014 – 09(1)– საერთო ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია;

შენობა #7- საკადასტრო კოდი #01.13.08.003.012 – საერთო ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია;

დაგეგმილი დაშლის და სამშენებლო სამუშაოები შესრულებული პროექტის კონსტრუქციული გადაწყვეტების, მშენებლობის ორგანიზაციის და წარმოების პროექტების შესაბამისად, უარყოფით გავლენას არ მოახდენს მომიჯნავე ნაკვეთებზე არსებულ შენობა-ნაგებობების მზიდი კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკურ მდგომარეობაზე, როგორც დაშლის, ასევე სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის დროს და არც შემდგომი ექსპლუატაციის პერიოდში

მშენებელ-კონსტრუქტორი
ექსპერტი საბა პაპაშვილი

e.mail: s.papashvili@cubicon.ge
tel: +995 599 32 33 68

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8



ფოტო 9



ფოტო 10



ფოტო 11



ფოტო 12



ფოტო 13



ფოტო 14



ფოტო 15



ფოტო 16



ფოტო 17



ფოტო 18



ფოტო 19



ფოტო 20



ფოტო 21



ფოტო 22



ფოტო 23



ფოტო 24